ფრე კიშინიოვში

კიშინიოვი. რესპუბლიკური სტადიონი. 7 მაისი.

“ბურევესტნიკი” (კიშინიოვი) – “დინამო” (თბილისი) – 1:1 (0:0).

“ბურევესტნიკი” – ერემეევი, ლევკინი, ზელენიაევი, მირგოროდსკი, კოლოსოვი, ბუტლიკინი, ვაცკევიჩი, დანილოვი, კოროტკოვი, მუხორტოვი, ფალამეევი.

“დინამო” – პირაევი, ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა, კილაძე, რამიშვილი, ქვლივიძე, ჭკუასელი, ღოღობერიძე, ბარქაია, მესხი.

მსაჯი: ნ. ხლოპოტინი (მოსკოვი).

ლიდერის მატჩმა მოლდავეთის დედაქალაქში დიდი ინტერესი გამოიწვია ფეხბურთის მოყვარულთა შორის. სტადიონი სავსე იყო მაყურებლებით.

მასპინძლები თავისი ძირითადი, საბრძოლო შემადგენლობით გამოვიდნენ მინდორზე, ხოლო თბილისელებს აკლდათ ს. და ა. კოტრიკაძეები, გაგნიძე, იამანიძე და ხასაია. დინამოელთა ეს დანაკლისი კარგად იცოდნენ ბურევესტნიკელებმა და ამიტომ თამაში დაიწყეს სწრაფ ტემპში, გრძელი გადაცემებით. სტუმრების შესუსტებული თავდასხმის წინააღმდეგ მასპინძელთა დაცვა იბრძოდა კოლექტიურად, შეთანხმებულად, რათა მოპირდაპირეთათვის თავიდანვე არ მიეცა კომბინაციური თამაშის საშუალება. განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ ღოღობერიძე და ჭკუასელი.

კიშინიოველთა თავდამსხმელები ცდილობდნენ შეტევას განუწყვეტელი ხასიათი ჰქონოდა და “დინამოს” ძლიერ დაცვასთან ბრძოლაში მაქსიმალურად გამოეყენებინათ სახიფათო მომენტები. ერთ–ერთი ასეთი შეტევისას დანილოვი პირისპირ გავიდა მეკარე პირაევთან, მაგრამ მის მიერ დარტყმული ბურთი აცდა კარს.

მეორე ტაიმი კვლავ “ბურევესტნიკის” იერიშით დაიწყო. მეტად ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა კოროტკოვი, რომლის ძლიერად დარტყმული ბურთი აიღო პირაევმა. მალე თბილისელთა მეკარემ მოიგერია ერთ–ერთი მოწინააღმდეგე ფორვარდის დარტყმა, მაგრამ ბურთს მოუსწრო ვაცკევიჩმა და გაიტანა იგი კარში – 1:0.

გატანილი გოლის შემდეგ ბრძოლამ კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. დინამოელებმა შეძლეს ინიციატივის ხელში აღება და თამაშმა კიშინიოველთა მხარეს გადაინაცვლა. 68–ე წუთზე “ბურევესტნიკის” კარში 18 მეტრიდან დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. ღოღობერიძემ ბურთი გადააწოდა ჭკუასელს, ეს უკანასკნელი შეიჭრა საჯარიმოში, მოატყუა ორი მცველი და ზუსტი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში.

დარჩენილი დროის განმავლობაში ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა, თავი იჩინა დაღლილობამ, ტემპი დაეცა. მატჩი დამთავრდა ფრედ – 1:1.

ასეთივე შედეგით დამთავრდა ამავე გუნდების დუბლიორთა შეხვედრა.

ა. სუმსკი.
9 მაისი, 1957 წ.